საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER
(OMBUDSMAN) OF GEORGIA

N 15/7519
01/08/2023

7519-15-2-202308011417

თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს
ბატონ ვასილ მშვენიერაძეს

**სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება**

**მსჯავრდებულ [redacted] საშიშროების რისკის შესახებ**

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე" ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო ვასილ,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა [redacted] განცხადებები, სარჩელი და თანდართული მასალები. მოცემულ ეტაპზე, მსჯავრდებულ [redacted]ადმინისტრაციულ სარჩელს განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო. მასალების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით, დაკმაყოფილდა მსჯავრდებულ [redacted] მოთხოვნა და პენიტენციურ სამსახურს დაევალა მსჯავრდებულის საშიშროების რისკების გადაფასება. შედეგად, მსჯავრდებულ [redacted], რაიმე გარემოების ცვლილებისა და კანონსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელების გარეშე, დაუმძიმდა საშიშროების რისკი - განესაზღვრა მომეტებული რისკის სახე და სასჯელის მოხდა - დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რამდენადაც აღნიშნულ საკითხზე სასამართლოს შემდგომი პრაქტიკის განვითარება მნიშვნელოვანია სახალხო დამცველმა გადაწყვიტა, ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური მანდატის გათვალისწინებით, საქმის განმხილველ სასამართლოს წარუდგინოს სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება.

ვიმედოვნებ, რომ წინამდებარე მოსაზრება სასამართლოს განსახილველი საკითხის სათანადოდ შეფასებაში დაეხმარება.

საქართველო, თბილისი 0102, დავით აღმაშენებლის გამზირი N80,
ცხელი ხაზი: 1481 (24/7); www.ombudsman.ge; ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge
80 David Agmashenebeli Avenue, Tbilisi 0102, Georgia,
Hotline: 1481 (24/7); www.ombudsman.ge; E-mail: info@ombudsman.ge

**სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით მიმართვის უფლებამოსილება**

მოგეხსენებათ, რომ საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლის თანახმად, „საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებების დაცვას ზედამხედველობს საქართველოს სახალხო დამცველი".

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე" ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს სახალხო დამცველი უფლებამოსილია ცალკეულ შემთხვევებში შეასრულოს სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) ფუნქცია საერთო სასამართლოებსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16[1] მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ნებისმიერ პირს, რომელიც განსახილველ საქმეში მხარე ან მესამე პირი არ არის, აქვს უფლება, საქმის არსებით განხილვამდე არანაკლებ 5 დღით ადრე სასამართლოს წარუდგინოს საკუთარი წერილობითი მოსაზრება ამ საქმესთან დაკავშირებით.

სასამართლოს მეგობრის მოსაზრება მიზნად არ ისახავს რომელიმე მხარის პოზიციის მხარდაჭერას და ახდენს ადამიანის უფლებათა სამართლის მხოლოდ იმ სტანდარტის იდენტიფიცირებას, რომელიც დადგენილია ადგილობრივი და საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ.

**ფაქტობრივი გარემოებები:**

მსჯავრდებულთა საშიშროების რისკების შეფასების გუნდის სხდომის [redacted] ოქმის თანახმად, მსჯავრდებულ [redacted], რომელიც მსჯავრდებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით და 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით (სასჯელის დასაწყისი: [redacted] წ. დასასრული: [redacted]ნ.) განესაზღვრა საშიშროების მომეტებული რისკი. გუნდმა დაადგინა შემდეგი გარემოებები:

- მსჯავრდებულთა საშიშროების შეფასების გუნდის [redacted] გადაწყვეტილებით მსჯავრდებულ [redacted] განესაზღვრა საშუალო რისკი. თბილისის საქალაქო სასამართლოს [redacted] გადაწყვეტილებით, სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს დაევალა მსჯავრდებულ [redacted] მიმართ საშიშროების რისკის გადაფასების პროცედურის წარმართვა. ხსენებული გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს [redacted] განჩინებით. საქართველოს უზენაესი სასამართლოს [redacted] განჩინებით, უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება;
- [redacted] არ არის წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტის მქონე,[1] სასჯელის მოხდის პერიოდში დისციპლინური ღონისძიება მის მიმართ გამოყენებული არ ყოფილა. წახალისების ფორმა გამოყენებული იქნა 3-ჯერ. არ არის მიდრეკილი თვითდაზიანებისკენ. [redacted] შემდეგ წახალისებულია 2-ჯერ - მიეცა დამატებითი ხანგრძლივი პაემანი;
- მსჯავრდებულს არ აქვს სარეაბილიტაციო და სოციალურ პროგრამებში მონაწილეობის სურვილი, უარყოფითი დამოკიდებულება აქვს პროგრამებში მონაწილეობის მიმართ. ასევე, არ აქვს სწავლისა და მუშაობის სურვილი, მათ მიმართაც აქვს უარყოფითი დამოკიდებულება;

---

[1] სავარაუდოდ გუნდი გულისხმობს ნასამართლობის მოხსნას და არა დანაშაულის ფაქტის არქონას.

- მსჯავრდებულ [redacted] პიროვნების დამახასიათებელი რისკ ფაქტორები მოცემულ ეტაპზე არ იკვეთება. დამცავი ფაქტორია ჩადენილი დანაშაულის გააზრება. მსჯავრდებული არ არის კრიმინალური სუბკულტურის მატარებელი. პატივისცემას იჩენს დაწესებულების ადმინისტრაციის თანამშრომლების მიმართ. არის მოტივირებული ცვლილებებისკენ. გააზრებული და გაცნობიერებული აქვს ჩადენილი დანაშაული და მისი უარყოფითი ხასიათი. არის მშვიდი და გაწონასწორებული, არის თავაზიანი;
- პენიტენციური დეპარტამენტის უსაფრთხოების სამმართველოს ინფორმაციით, [redacted] მსჯავრდებული [redacted] სასჯელის შემდგომი მოხდის მიზნით **გადაყვანილი იქნა** N[redacted]პენიტენციურ დაწესებულებაში[2], საიდანაც, მისივე განცხადების საფუძველზე, დაბრუნებული იქნა N[redacted] დაწესებულებაში, ვინაიდან მსჯავრდებულის განმარტებით, საფრთხის შემცველი იყო მისი ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსება. როგორც [redacted] განცხადება/საჩივარში უთითებს ([redacted].) წარსულში იგი მუშაობდა [redacted] სამინისტროში და მინიჭებული ჰქონდა [redacted] ([redacted]) წოდება. ასევე, საქართველოს [redacted] საქმიანობისას, მის ერთ-ერთ საკურატორო სფეროს მიეკუთვნებოდა [redacted] ერთ-ერთი [redacted] კოორდინირება. ამასთან, როგორც [redacted] რის გამოც თვლიდა, რომ N[redacted] პენიტენციური დაწესებულების გარდა, სხვა ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში გადაყვანის შემთხვევაში შესაძლო იყო მსჯავრდებულთა გარკვეული კატეგორიის მხრიდან აგრესიის სამიზნე გამხდარიყო. შესაბამისად, იგი ითხოვდა N[redacted] დაწესებულებაში გადაყვანას, რაც თავად მსჯავრდებულის მიერ მითითებული გარემოებების და უსაფრთხოების ნორმების გათვალისწინებით პენიტენციური დეპარტამენტის მიერ უსაფრთხოებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად არ იქნა მიჩნეული, რის შესახებაც არაერთხელ ეცნობა მსჯავრდებულს წერილობით. მიუხედავად აღნიშნულისა, [redacted] N[redacted] დაწესებულებაში გადაყვანის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად მიმართა სასამართლოს. სასამართლოს კანონიერ ძალაში

---

[2] მსჯავრდებულის საშიშროების შეფასების გუნდის [redacted] სხდომის ოქმში ხსენებული თარიღი შეცდომით არის მითითებული. საგულისხმოა, რომ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში არსებული დოკუმენტების მიხედვით ირკვევა: საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მსჯავრდებულის რისკების შეფასების გუნდის [redacted] სხდომის ოქმის თანახმად, [redacted] დაუდგინდა საშიშროების რისკის სახე - საშუალო. თბილისის სააპელაციო სასამართლოს [redacted] განჩინების (საქმე N[redacted]) მიხედვით, მსჯავრდებულთა რისკების შეფასების გუნდის [redacted] სხდომის ოქმის თანახმად, გუნდმა დაადგინა, რომ [redacted] საშიშროების რისკის სახე არის საშუალო; საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორის [redacted] N[redacted] ბრძანებით, [redacted] სასჯელის მოსახდელად განესაზღვრა ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება და N[redacted] პენიტენციური დაწესებულებიდან გადაყვანილი იქნა N[redacted] პენიტენციურ დაწესებულებაში; პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორის [redacted] N[redacted] ბრძანებით, [redacted] N[redacted] პენიტენციური დაწესებულებიდან გადაყვანილი იქნა N[redacted] დაწესებულებაში პირადი განცხადების საფუძველზე. მსგავსი ინფორმაცია ფიქსირდება სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის [redacted] N[redacted] წერილშიც: [redacted], მსჯავრდებულთა რისკების შეფასების გუნდის მიერ, დაუდგინდა საშიშროების საშუალო რისკის სახე, რომლის საფუძველზეც პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორის [redacted] N[redacted] ბრძანებით სასჯელის მოხდა განესაზღვრა ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში და N[redacted]პენიტენციური დაწესებულებიდან გადაყვანილი იქნა N[redacted]პენიტენციურ დაწესებულებაში. [redacted], N[redacted] პენიტენციური დაწესებულებიდან N[redacted]პენიტენციურ დაწესებულებაში, [redacted] დაბრუნებული იქნა პირადი განცხადების საფუძველზე, სასჯელის შემდგომი მოხდის მიზნით.

შესული გადაწყვეტილების საფუძველზე სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის [redacted] ბრძანებით განხორციელდა მსჯავრდებულ [redacted] N[redacted] დაწესებულებიდან N[redacted] დაწესებულებაში გადაყვანა, სადაც მსჯავრდებულების მხრიდან მის მიმართ ადგილი ჰქონდა ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების ფაქტს. [redacted] [redacted] [redacted], უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, N[redacted] დაწესებულებიდან დაბრუნებული იქნა N[redacted] დაწესებულებაში. ხოლო მის მიმართ ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების ფაქტზე დაიწყო გამოძიება და სასამართლოს [redacted] [redacted] გადაწყვეტილებით, პასუხისგებაში იქნა მიცემული რამდენიმე პირი. უსაფრთხოების სამმართველოს ინფორმაციითვე, მსჯავრდებულ [redacted] [redacted] ნებისმიერ ღია ტიპის პენიტენციური დაწესებულებაში მოთავსების შემთხვევაში, არსებობს დიდი რისკი იმისა, რომ მის მიმართ სხვა მსჯავრდებულების მხრიდან ადგილი ჰქონდეს ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების ფაქტს.

მსჯავრდებულთა საშიშროების რისკების შეფასების გუნდმა დაასკვნა, რომ [redacted] [redacted] განთავსება ნახევრად ღრია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, სადაც სასჯელს იხდის მსჯავრდებულთა დიდი რაოდენობა, საფრთხის შემცველი იქნება როგორც თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების უსაფრთხოების, ასევე, პენიტენციური სისტემის გამართული ფუნქციონირებისთვის. აღნიშნულის გათვალისწინებით შეფასების გუნდმა ერთხმად გადაწყვიტა, რომ [redacted] საშიშროების რისკის სახე არის მომეტებული.

სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის [redacted] [redacted] N[redacted] ბრძანებით, საშიშროების მომეტებული რისკის მსჯავრდებულს, [redacted] [redacted] სასჯელის მოსახდელად განესაზღვრა დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება და განთავსდა N[redacted] პენიტენციურ დაწესებულებაში.

**სამართლებრივი დასაბუთება:**

*დოკუმენტის წინამდებარე თავში წარმოდგენილია ინფორმაცია შიდა ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებთან დაკავშირებით, რომელთა გათვალისწინება სასამართლოს მიერ იქნება მნიშვნელოვანი.*

**შიდა ეროვნული კანონმდებლობა**

**საქართველოს კონსტიტუციის** თანახმად, დაუშვებელია ადამიანის წამება, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა, არაადამიანური ან დამამცირებელი სასჯელის გამოყენება.[3]

**საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით,** სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს პირის პატიმრობაში ყოფნა ადამიანური ღირსების შესაბამის პირობებში. თავისუფლების აღკვეთის აღსრულების მეთოდი და ფორმა სასჯელისთვის ჩვეულებრივ დამახასიათებელ ტანჯვას არ უნდა აღემატებოდეს. პატიმრის ჯანმრთელობა ფიზიკური და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ადეკვატურად უნდა იყოს დაცული; ინდივიდუალური და სოციალური თვალსაზრისით, ადამიანის ღირსეული არსებობის

[3] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლ. 9, პუნქტ. 2.

საბაზისო წინაპირობები უნდა იქნეს შენარჩუნებული და უზრუნველყოფილი.[4] სასამართლო ყურადღებას ამახვილებს სასჯელის ერთ-ერთ ფუნდამენტურ მიზანზე - მსჯავრდებულის რესოციალიზაციაზე, რასაც განუხორციელებელს ხდის იზოლირებული პატიმრობის ხანგრძლივად ან/და განუსაზღვრელი ვადით გამოყენება. სახელმწიფომ მსჯავრდებულს უნდა შეუქმნას პირობები, საზოგადოებაში დაბრუნდეს არა როგორც დათრგუნული, ღირსებაშელახული და სოციალურ ურთიერთობებს გადაჩვეული ადამიანი, არამედ როგორც პასუხისმგებლიანი, რესოციალიზებული პიროვნება.[5] თავისუფლების აღკვეთის ყველა დაწესებულებაში შეიძლება არსებობდნენ პატიმრები, რომლებიც დანაშაულებრივი ქმედების პრეისტორიით და ხასიათით, კრიმინალურ დაჯგუფებებთან მტრობით და, სხვა გარემოებებიდან გამომდინარე დაუცველობით სხვა პატიმრებისაგან დაცვას საჭიროებენ. მოცემულ ვითარებაში, სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, უზრუნველყოს თავისუფლებააღკვეთილი პირისთვის უსაფრთხო გარემო;[6] დაიცვას პატიმრების სიცოცხლე და ჯანმრთელობა და აარიდოს მათ ყოველგვარი საფრთხე, რომელიც, მათ შორის, სხვა პატიმრებისგან ემუქრებათ. შესაბამისად, სახელმწიფო, ზოგიერთ შემთხვევაში, სწორედ მაშინ დაარღვევს პატიმართა სიცოცხლისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფის ვალდებულებას, თუ არ მოახდენს საფრთხის განეიტრალებას და იმ პირის იზოლირებას, ვისგანაც საფრთხე წარმოდგება.[7]

**საქართველოს პატიმრობის კოდექსის მიხედვით,** თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებია: გათავისუფლებისთვის მომზადების, დაბალი რისკის, ნახევრად ღია ტიპის, დახურული ტიპის, განსაკუთრებული რისკის, არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულება, ქალთა სპეციალური დაწესებულება. მსჯავრდებულისთვის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ტიპს კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრავს სამსახურის გენერალური დირექტორი.[8]

მსჯავრდებული, როგორც წესი, სასჯელს იხდის მისი ან მისი ახლო ნათესავის საცხოვრებელი ადგილიდან ყველაზე ახლოს მდებარე, შესაბამისი ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, გარდა შემდეგი შემთხვევებისა,[9] კერძოდ, სასჯელის შემდგომი მოხდის მიზნით მსჯავრდებული სამსახურის გენერალური დირექტორის გადაწყვეტილებით შეიძლება გადაყვანილ იქნეს სხვა პენიტენციურ დაწესებულებაში: მსჯავრდებულის საშიშროების რისკის გათვალისწინებით ან გათავისუფლებისათვის მოსამზადებლად; პენიტენციური დაწესებულების დებულების სისტემატური დარღვევისას; მსჯავრდებულისა და სხვა პირთა უსაფრთხოების ან პენიტენციური დაწესებულების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად; მსჯავრდებულის ავადმყოფობისას; პენიტენციური დაწესებულების რეორგანიზაციისას, ლიკვიდაციისას ან გადატვირთულობისას; იმავე კოდექსის 58-ე მუხლის პირველი ნაწილით[10] გათვალისწინებული გარემოების (პენიტენციურ დაწესებულებაში კრიზისული ვითარება)

---

[4] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 21 დეკემბრის N1/10/1676 გადაწყვეტილება საქმეზე: საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ", II-10.

[5] იქვე, II-14.

[6] იქვე, II-6.

[7] იქვე, II-29.

[8] იქვე, მუხლ. 46, ნაწ. 2.

[9] იქვე, მუხლ. 46 ნაწ. 3.

[10] პენიტენციურ დაწესებულებაში კრიზისულ ვითარებად შეიძლება შეფასდეს მდგომარეობა, როდესაც ხდება პენიტენციურ დაწესებულებაში სამართლებრივი რეჟიმის ან/და უსაფრთხოების ისეთი დარღვევა, რომელიც აშკარა საშიშროებას უქმნის პენიტენციური დაწესებულების ნორმალურ ფუნქციონირებას და რომლის პენიტენციური დაწესებულების ძალებით, ამ კოდექსით გათვალისწინებული ღონისძიებების ფარგლებში აღმოფხვრა შეუძლებელია.

არსებობისას; საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 191[1] მუხლით[11] გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას, თუ მოსამართლის განჩინებით სამსახურის გენერალურ დირექტორს დაევალება შესაბამისი მსჯავრდებულის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელი განსაკუთრებული ზომების მიღება და ამ ღონისძიების გამოყენება აუცილებელია მსჯავრდებულის უსაფრთხოებისათვის; მსჯავრდებულის თანხმობის არსებობისას; სხვა მნიშვნელოვანი, დასაბუთებული გარემოების არსებობისას.[12]

საგულისხმოა, რომ ზემოხსნებული საფუძვლით მსჯავრდებულის სხვა პენიტენციურ დაწესებულებაში გადაყვანისას მასზე ვრცელდება წესები, რომლებიც დადგენილია ამ რისკის მსჯავრდებულისათვის და რომელთა დაცვაც შესაძლებელია სხვა პენიტენციურ დაწესებულებაში.[13]

მსჯავრდებულის რისკის შეფასებასა და პერიოდულ გადაფასებას უზრუნველყოფს რისკის შეფასების გუნდი.[14]

**კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის[15] თანახმად,** მსჯავრდებულთა საშიშროების რისკის სახეებია: დაბალი, საშუალო, მომეტებული და მაღალი.[16]

მსჯავრდებულის საშიშროების რისკის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს დაწესებულების, გარშემომყოფთა, საზოგადოების, სახელმწიფოს ან/და სამართალდამცველი ორგანოების უსაფრთხოებისათვის მსჯავრდებულისგან მომდინარე საშიშროება, რომელიც განისაზღვრება შემდეგი კრიტერიუმების შეფასების საფუძველზე: მსჯავრდებულის პიროვნული თვისებები; ჩადენილი დანაშაულის კატეგორია და მოტივი; დამდგარი მართლსაწინააღმდეგო შედეგი; დაწესებულებაში გამოვლენილი ქცევა; ჩადენილი იმგვარი ქმედება, რომელიც იწვევს/გამოიწვევს დაპირისპირებას მსჯავრდებულთა მასასთან და საფრთხეს უქმნის/შეუქმნის მსჯავრდებულის/სხვა მსჯავრდებულების სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას ან პენიტენციური სისტემის ნორმალურ ფუნქციონირებას; დაწესებულების წარმომადგენლებთან და სხვა მსჯავრდებულებთან დამოკიდებულება, მათზე უარყოფითი გავლენის მოხდენის შესაძლებლობა; დაწესებულების დებულებითა და დღის განრიგით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულება; ალკოჰოლის, აზარტული თამაშების, ნარკოტიკული, ახალი ფსიქოაქტიური და ფსიქოტროპული ნივთიერებების მიმართ დამოკიდებულება; მსჯავრდებულის მიერ წარსულში, ასევე დაწესებულებაში დანაშაულის ჩადენის ფაქტები; დარჩენილი სასჯელის ხანგრძლივობა; დაწესებულებიდან გაქცევის ან გაქცევის

---

[11] თუ პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი ბრალდებულის/მსჯავრდებულის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება, ან/და თუ მოსამართლეს გაუჩნდა ეჭვი, რომ ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ განხორციელდა ან შესაძლოა განხორციელდეს წამება, დამამცირებელი ან/და არაადამიანური მოპყრობა, მოსამართლე უფლებამოსილია განჩინებით დაავალოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალურ დირექტორს ასეთი ბრალდებულის/მსჯავრდებულის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელი განსაკუთრებული ზომების მიღება.

[12] იქვე, მუხლ. 46, ნაწ. 4 ქვეპ. „ა“-„კ“.

[13] იქვე, მუხლ. 46, ნაწ. 5.

[14] იქვე, მუხლ. 46, ნაწ. 4[1].

[15] „მსჯავრდებულის რისკის სახეების, რისკის შეფასების კრიტერიუმების, რისკის შეფასებისა და გადაფასების წესის, მსჯავრდებულის იმავე ან სხვა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანის წესისა და პირობების, აგრეთვე მსჯავრდებულთა საშიშროების რისკების შეფასების გუნდის საქმიანობისა და უფლებამოსილების განსაზღვრის წესის თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 8 მაისის N395 ბრძანების დანართი.

[16] იქვე, მუხლ. 5, პუნქტ. 1.

მცდელობის ფაქტები; წარსულში დაწესებულებაში სასჯელის მოხდის შემთხვევები; მსჯავრდებულის ასაკი; ქურდულ სამყაროსთან/ტერორიზმთან დამოკიდებულება; არსებულ სარეაბილიტაციო/რესოციალიზაციის პროგრამებში ჩართულობა; ისეთი თვითდაზიანების მიყენების/მცდელობის ფაქტები, რომლითაც საფრთხე ექმნება ან შეიძლება შეექმნას დაწესებულების ნორმალურ ფუნქციონირებას; წახალისების/დისციპლინური სახდელის/ პატიმრობის გამოყენების ფაქტი.[17]

საშუალო რისკის მქონე მსჯავრდებული თავსდება ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში,[18] ხოლო მომეტებული რისკის მქონე მსჯავრდებული თავსდება დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში.[19]

საქართველოს პატიმრობის კოდექსის მიხედვით, განსხვავდება მსჯავრდებულთა უფლებრივი მდგომარეობა: ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მსჯავრდებულს უფლება აქვს: 1 თვის განმავლობაში ჰქონდეს: 2 ხანმოკლე პაემანი (წახალისების ფორმით – 1 დამატებით); საკუთარი ხარჯით ჰქონდეს შეუზღუდავი რაოდენობის სატელეფონო საუბარი – დღე-ღამეში არაუმეტეს 30 წუთისა (წახალისების ფორმით - ულიმიტო, თითოეული არაუმეტეს 15 წუთისა); დამოუკიდებლად გადაადგილდეს ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ტერიტორიაზე დებულებით დადგენილი წესით; 1 წლის განმავლობაში ჰქონდეს 3 ხანგრძლივი პაემანი (წახალისების ფორმით – 2 დამატებით).[20] დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მსჯავრდებულს უფლება აქვს: 1 თვის განმავლობაში ჰქონდეს: 1 ხანმოკლე პაემანი (წახალისების ფორმით – 1 დამატებითი); საკუთარი ხარჯით ჰქონდეს 3 სატელეფონო საუბარი, თითოეული არა უმეტეს 15 წუთისა (წახალისების ფორმით – ულიმიტო, თითოეული არა უმეტეს 15 წუთისა); 1 წლის განმავლობაში ჰქონდეს 2 ხანგრძლივი პაემანი (წახალისების ფორმით –1 დამატებითი).[21]

რაც შეეხება რისკების შეფასების/გადაფასების პროცედურულ წესებს, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის[22] მიხედვით, გუნდი დამოუკიდებლად, მულტიდისციპლინური მიდგომის საფუძველზე ახორციელებს მსჯავრდებულის საშიშროების რისკის შეფასებას და მისი რისკის სახის დადგენას;[23] სხდომაზე განიხილავს დაწესებულების დირექტორისა და უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს გაგზავნილ მასალებს, რომელთა მიღებიდან 20 სამუშაო დღის ვადაში, იღებს გადაწყვეტილებას მსჯავრდებულის საშიშროების რისკის დადგენის თაობაზე. გადაწყვეტილება მიიღება ზეპირი მოსმენის გარეშე. ხოლო თუ გუნდი ჩათვლის, რომ მსჯავრდებულისათვის საშიშროების მომეტებული ან მაღალი რისკის დადგენის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე საჭიროა უშუალოდ მსჯავრდებულისაგან დამატებითი ინფორმაციის მიღება, უფლებამოსილია, მსჯავრდებულს მოუსმინოს საკუთარი ინიციატივით.[24] სხდომაზე იწარმოება სხდომის

---

[17] იქვე, მუხლ. 4, ქვეპუნქტ. „ა“-„რ“.
[18] იქვე, მუხლ. 5, პუნქტ. 3.
[19] იქვე, მუხლ. 5, პუნქტ. 4.
[20] საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მუხლ. 62, ნაწ. 2 ქვეპუნქტ. „ბ“-„ე“.
[21] საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მუხლ. 65, ნაწ. 2 ქვეპუნქტ. „ბ“-„დ“.
[22] „მსჯავრდებულის რისკის სახეების, რისკის შეფასების კრიტერიუმების, რისკის შეფასებისა და გადაფასების წესის, მსჯავრდებულის იმავე ან სხვა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანის წესისა და პირობების, აგრეთვე მსჯავრდებულთა საშიშროების რისკების შეფასების გუნდის საქმიანობისა და უფლებამოსილების განსაზღვრის წესის თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 8 მაისის N395 ბრძანების დანართი.
[23] იქვე, მუხლ. 8, პუნქტ. 1.
[24] იქვე, მუხლ. 13, პუნქტ. 1.

ოქმი, რომელშიც მიეთითება ინფორმაცია თითოეული წევრის პოზიციისა და მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების შესახებ.[25]

გუნდის მიერ მსჯავრდებულის საშიშროების რისკის შეფასების საფუძველზე, მსჯავრდებულის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში დატოვების, იმავე ან სხვა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანის გადაწყვეტილებას ბრძანების სახით იღებს გენერალური დირექტორი, გუნდის გადაწყვეტილების მისთვის გადაცემიდან არაუმეტეს 10 სამუშაო დღის ვადაში.[26]

მსჯავრდებულისათვის საშიშროების დაბალი ან საშუალო რისკის დადგენის მიუხედავად, გენერალური დირექტორის გადაწყვეტილებით, მსჯავრდებული სასჯელის მოხდის მიზნით შესაძლებელია გადაყვანილ იქნეს დახურული ტიპის ან მაღალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, როდესაც არსებობს პატიმრობის კოდექსის 57-ე მუხლის პირველი ნაწილით[27] გათვალისწინებული უსაფრთხოების ღონისძიების გამოყენების რომელიმე საფუძველი, ან თუ არსებობს მსჯავრდებულის სიცოცხლის/ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების ან/და მისი დისკრიმინაციისაგან დაცვის აუცილებლობა მისივე წარსული საქმიანობიდან, ცხოვრების წესიდან, ჩადენილი დანაშაულის ხასიათიდან ან სხვა ფაქტორიდან გამომდინარე. ამ შემთხვევაში, დახურული ტიპის ან მაღალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულზე ვრცელდება საშიშროების დაბალი ან საშუალო რისკის მსჯავრდებულისათვის დადგენილი პაემნისა (ხანმოკლე, ხანგრძლივი, ვიდეოპაემანი) და სატელეფონო საუბრის უფლებები.[28]

საშიშროების რისკის სახის სავარაუდო ცვლილების დადგენის მიზნით, გუნდი უზრუნველყოფს უკვე შეფასებულ მსჯავრდებულთა პერიოდულ გადაფასებას.[29] მსჯავრდებულთა საშიშროების რისკის გადაფასება ხორციელდება: საშიშროების საშუალო რისკის დადგენის შემთხვევაში, მსჯავრდებულის ქცევის მკვეთრად შეცვლისთანავე ან მსჯავრდებულის პირადი განცხადების საფუძველზე;[30] საშიშროების მომეტებული რისკის დადგენიდან არაუგვიანეს 18 თვისა. პროცედურის დაწყება ასევე შესაძლებელია ამ ვადის დაუცველად განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც მკვეთრად შეიცვალა მსჯავრდებულის ქცევა ან სხვა გარემო პირობები ან/და მსჯავრდებულის იმავე ტიპის დაწესებულებაში დატოვება გაუმართლებელია.[31] გარდა ამისა, განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც მკვეთრად შეიცვალა მსჯავრდებულის ქცევა ან სხვა გარემო პირობები ან/და მსჯავრდებულის იმავე ტიპის დაწესებულებაში დატოვება

---

[25] იქვე, მუხლ. 13, პუნქტ. 3.

[26] იქვე, მუხლ. 15, პუნქტ. 1.

[27] ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ საკუთარი თავის, სხვისი და ქონების დაზიანების თავიდან აცილების, პენიტენციურ დაწესებულებაში დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევის აღკვეთის, ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის, თავდასხმის მოგერიების, ჯგუფური დაუმორჩილებლობის ან/და მასობრივი არეულობის აღკვეთის მიზნით, დასაბუთებული გადაწყვეტილებით ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი უსაფრთხოების ღონისძიებები: სპეციალური საშუალებების გამოყენება; სხვა ბრალდებულთაგან/მსჯავრდებულთაგან მისი განცალკევება; დროებით სხვა პენიტენციურ დაწესებულებაში გადაყვანა; არაუმეტეს 24 საათით სამარტოო საკანში მოთავსება.

[28] იქვე, მუხლ. 15, პუნქტ. 7.

[29] იქვე, მუხლ. 17 პუნქტ. 1.

[30] იქვე, მუხლ. 17, პუნქტ. 2, ქვეპუნქტ. „გ“.

[31] იქვე, მუხლ. 17, პუნქტ. 2, ქვეპუნქტ. „ბ“.

გაუმართლებელია, გუნდის მიერ მსჯავრდებულის საშიშროების რისკის გადაფასება ხორციელდება დირექტორის დასაბუთებული წერილობითი მიმართვის საფუძველზე.[32]

გუნდის გადაწყვეტილება საშიშროების რისკის სახის განსაზღვრის შესახებ შეიძლება მსჯავრდებულის მიერ ერთჯერადად გასაჩივრდეს მხოლოდ მსჯავრდებულის თავისუფლების აღკვეთის შესაბამისი ტიპის დაწესებულებაში გადაყვანის თაობაზე გენერალური დირექტორის ბრძანებასთან ერთად, სასამართლოში, ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.[33]

### *საერთაშორისო სტანდარტები*

**გაეროს პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების (ნელსონ მანდელას წესები)**[34] თანახმად,

- განსხვავებული კატეგორიის პატიმრები უნდა განთავსდნენ სხვადასხვა დაწესებულებებში ან დაწესებულების ნაწილებში, მათი სქესის, ასაკის, კრიმინალური წარსულის, დანაშაულისა და დაპატიმრების სამართლებრივი მიზეზების და მათთან მოპყრობის საჭიროებების გათვალისწინებით. ცალ-ცალკე უნდა განთავსდნენ: კაცები და ქალები, მსჯავრდებულები და ბრალდებულები, არასრულწლოვნები და სრულწლოვნები, სამოქალქო ვალდებულების შეუსრულებლობისთვის დაპატიმრებულები და დანაშაულის გამო მსჯავრდებულები;[35]
- ხსენებული პრინციპების ცხოვრებაში გატარება მოითხოვს პატიმრებისადმი ინდივიდუალურ მიდგომას და მათი ჯგუფებად კლასიფიცირების მოქნილი სისტემის არსებობას. სასურველია, რომ ამგვარი ჯგუფები განთავსებული იყვნენ ცალკე დაწესებულებებში, თითოეულ ჯგუფთან შესაფერისი მუშაობისათვის;[36]
- აუცილებელი არ არის ამ დაწესებულებებში უსაფრთხოების ერთნაირი ზომების მიღება პატიმართა ყველა ჯგუფისთვის. უფრო მეტიც, სასურველია ზომების სიმკაცრის გრადაცია ჯგუფების მიხედვით. პატიმრების გამოსწორების ყველაზე სასურველი პირობები არსებობს ღია ტიპის დაწესებულებებში, სადაც გაქცევის თავიდან აცილებისათვის განსაკუთრებული აქცენტი კეთდება არა ფიზიკურ საშუალებებზე, არამედ თვითდისციპლინაზე;[37]
- სასურველია დაწესებულებაში განთავსდეს მხოლოდ იმდენი პატიმარი, რომ მათ მიმართ გამოყენებულ იქნას ინდივიდუალური მიდგომა. ზოგიერთ ქვეყანაში ითვლება, რომ ამგვარი დაწესებულებების კონტიგენტის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 500 ადამიანს. ღია ტიპის დაწესებულებებში უნდა განთავსდეს რაც შეიძლება ცოტა პატიმარი;[38] ციხის ფართობი საკმარისად დიდი უნდა იყოს იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნას სათანადო შესაძლებლობები და მომსახურება;[39]

---

[32] იქვე, მუხლ. 17, პუნქტ. 5.
[33] იქვე, მუხლ. 18.
[34] გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლიცია N70/175, მიღებული 2015 წლის 17 დეკემბერს. იხ. < https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/GA-RESOLUTION/E_ebook.pdf > ბოლოს ნანახია: 07.04.2023 წ.
[35] იქვე, წესი 11.
[36] იქვე, წესი 89.1.
[37] იქვე, წესი 89.2.
[38] იქვე, წესი 89.3.
[39] იქვე, წესი 89.4.

- კლასიფიკაციის მიზნებია: პატიმრის განცალკევება იმათგან, ვინც თავისი დანაშაულებრივი წარსულით ან ცუდი თვისებებით უარყოფით გავლენას მოახდენს მასზე; პატიმრების კატეგორიებად დაყოფა, რაც გააადვილებს მათთან მუშაობას, საზოგადოებაში მათი დაბრუნებისათვის მომზადების მიზნით. შესაძლებლობების ფარგლებში, პატიმრების სხვადასხვა კატეგორიებთან მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს განცალკევებულად – სხვადასხვა დაწესებულებებში;[40]
- ყოველი პატიმრის მიღების შემდეგ, შესწავლის საფუძველზე, უმოკლეს ვადაში უნდა შემუშავდეს მასთან მუშაობის პროგრამა, გამომდინარე მისი ინდივიდუალური მოთხოვნილებებიდან, შესაძლებლობებიდან და მიდრეკილებებიდან.[41]

**ევროპული ციხის წესების**[42] თანახმად:

- პატიმრების განთავსება უნდა ითვალისწინებდეს უსაფრთხოებისა და უშიშროების და ყველა პატიმართათვის სათანადო რეჟიმების უზრუნველყოფის საჭიროებებს. რამდენადაც შესაძლებელია პატიმრებთან უნდა ჩატარდეს კონსულტაცია მათი საწყისი განთავსების ადგილის შესახებ, ასევე, სხვა დაწესებულებაში შემდგომი გადაყვანისას;[43]
- ნებისმიერი პატიმრისთვის განკუთვნილი რეჟიმი უნდა შეიცავდეს ღონისძიებების ბალანსირებულ პროგრამას. ეს რეჟიმი საშუალებას უნდა აძლევდეს ყველა პატიმარს ყოველდღიურად თავიანთი საკნების გარეთ გაატარონ რაც შეიძლება მეტი დრო, რაც საჭიროა ადამიანური და სოციალური ურთიერთობების ადეკვატური დონის შესანარჩუნებლად და პასუხობდეს პატიმრის სოციალურ საჭიროებებს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ პატიმრების საჭიროებებს, რომელთაც გადაიტანეს ფიზიკური, მორალური ამ სექსუალური შეურაცხყოფა;[44]
- ციხეში წესრიგის შენარჩუნება უნდა მოხდეს უსაფრთხოების, უშიშროების და დისციპლინის მოთხოვნების გათვალისწინებით, ამავე დროს პატიმართათვის ისეთი საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფა უნდა ხდებოდეს, რომლებიც ადამიანის ღირსებას პატივს სცემს, სთავაზობს მათ ზემოხსენებული წესის შესაბამისად ღონისძიებებით დატვირთულ პროგრამას;[45]
- ინდივიდუალური პატიმრების მიმართ გამოყენებული უშიშროების ზომები უნდა იყოს მინიმალური, რაც კი საჭიროა მათი უსაფრთხო პატიმრობისათვის. უშიშროება, რომელიც დაცულია ფიზიკური ბარიერებით და სხვა ტექნიკური საშუალებებით, განმტკიცებული უნდა იყოს დინამიკური უსაფრთხოების მეშვეობით, რომელსაც უზრუნველყოფს პერსონალი, ვინც კარგად იცნობს მათი კონტროლის ქვეშ მყოფ პატიმრებს. მიღებიდან შეძლებისდაგვარად მალე პატიმართა შეფასება უნდა მოხდეს რათა განისაზღვროს: რისკი, რომელსაც ისინი წარმოადგენენ საზოგადოებისათვის გაქცევის შემთხვევაში; რისკი, იმისა, რომ ისინი შეეცდებიან გაქცევას ან დამოუკიდებლად ან დახმარებით. ამის შედეგად ყოველი პატიმარი უნდა იმყოფებოდეს იმგვარი უშიშროების პირობებში, რომელიც

---

[40] იქვე, წესი 93.
[41] იქვე, წესი 94.
[42] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2006 წლის 11 იანვარს მინისტრთა მოადგილეების 952-ე შეხვედრაზე).
[43] იქვე, წესი 17.
[44] იქვე, წესი 25.
[45] იქვე, წესი 49.

შეესაბამება სათანადო რისკის დონეს. საჭირო უშიშროების დონე უნდა გადაისინჯოს რეგულარული ინტერვალებით პირის პატიმრობის მთელი ვადის განმავლობაში;[46]

- მიღებიდან შეძლებისდაგვარად მალე, პატიმრების შეფასება უნდა მოხდეს, რათა განისაზღვროს, უქმნიან თუ არა საფრთხეს სხვა პატიმართა, ასევე, ციხის პერსონალის ან ამ დაწესებულებაში მომუშავე ან ვიზიტად მყოფი პირების უსაფრთხოებას, ან რამდენადაა მოსალოდნელი თვითდაზიანების მიყენება. უნდა არსებობდეს და მოქმედებდეს პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს პატიმართა, ციხის პერსონალის და ყველა ვიზიტორის უსაფრთხოებას და მინიმუმამდე შეამციროს ძალადობის რისკი ან უსაფრთხოების ხელმყოფი სხვა ინციდენტები. ყოველნაირი ძალისხმევა უნდა გატარდეს, რათა ყველა პატიმარს საშუალება მიეცეს უსაფრთხოდ სრულყოფილი მონაწილეობა მიიღოს ყოველდღიურ ღონისძიებებში. პატიმრებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა დაუკავშირდნენ ციხის თანამშრომელებს დღე-ღამის ნებისმიერ დროს;[47]
- უნდა იქნას შემუშავებული და გაწერილი ანგარიში თითოეული პატიმრისათვის მათი პიროვნული მდგომარეობის შესახებ, შემოთავაზებული უნდა იქნას პერსონალური გეგმა თითოეული პატიმრის სასჯელის მოხდის შესახებ, და აგრეთვე სტრატეგია პატიმართა გათავისუფლებისათვის მომზადებისა და მათი საზოგადოებაში დაბრუნების შესახებ. მისჯილი პატიმრები უნდა იყვნენ წახალისებულნი მონაწილეობა მიიღონ სასჯელის მოხდის შესახებ მათი ინდივიდუალური გეგმის შემუშავებაში. ასეთი გეგმა, რამდენადაც მისი პრაქტიკაში გატარება შესაძლებელია, უნდა მოიცავდეს: სამუშაოს; განათლებას; სხვა აქტივობებს; გათავისუფლებისათვის მომზადებას. სოციალური სამუშაო, სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარება წარმოადგენს მთლიანი გეგმის განუყოფელ ნაწილს, რომელიც შემუშავებულია თითოეული პატიმრისათვის;[48]
- რამდენადაც შესაძლებელია, ცალკე ციხე ან ცალკე შენობა გამოყენებულ უნდა იქნას რეჟიმის მართვისათვის სხვადასხვა კატეგორიის პატიმრების მიმართ. შემუშავებული უნდა იქნას პროცედურები სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის რეგულარული გადახედვის შესახებ, სადაც შესაბამისი ანგარიშის მიღებისა და განხილვისას, აგრეთვე შესაბამის თანამშრომელთა და პატიმართა შორის კონსულტაციებისას პატიმრები მონაწილეობას უნდა იღებდნენ მასში, რამდენადაც ეს შესაძლებელია. ასეთი ანგარიშები როგორც წესი, მოიცავს იმ თანამშრომელთა მიერ მომზადებულ ანგარიშებს, რომლებიც პირდაპირ შეხებაში არიან პატიმრებთან.[49]

**უვადო და გრძელვადიანი პატიმრების მართვის შესახებ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის**[50] თანახმად,

---

[46] იქვე, წესი 51.
[47] იქვე, წესი 52.
[48] იქვე, წესი 103.2, 103.3, 103.4, 103.5.
[49] იქვე, წესი 104.1, 104.2, 104.3.
[50] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2003 წლის 9 ოქტომბრის რეკომენდაცია Rec (2003)23 წევრი სახელმწიფოების მიმართ „ციხის ადმინისტრაციის მიერ უვადო თავისუფლებააღკვეთილი და სხვა გრძელვადიანი პატიმრების მართვის შესახებ“ <https://pjp-eu.coe.int/documents/41781569/42171329/CMRec+%282003%29+23+on+the+management+of+life+sentence+and+other+long+term+prisoners.pdf/bb16b837-7a88-4b12-b9e8-803c734a6117 > ბოლოს ნანახია: 09.04.2023 წ.

- რეკომენდაციის მიზნებისთვის, გრძელვადიანი პატიმარია, ვინც სასჯელს იხდის თავისუფლების აღკვეთის სახით 5 წლის ან მეტი ვადით;[51]
- მკაფიო გამიჯვნა უნდა მოხდეს უვადო თავისუფლებააღკვეთილი და სხვა გრძელვადიანი პატიმრების მხრიდან მომდინარე რისკების საზოგადოებისთვის, საკუთარი თავისთვის, სხვა პატიმრებისთვის და ციხეში მომუშავე ან მონახულებული პირებისთვის;[52]
- ციხის ადმინისტრაციამ დეტალურად უნდა შეაფასოს, ინდივიდუალური პატიმრები შეადგენენ რისკს თუ არა საკუთარი თავისთვის და სხვებისთვის. შეფასებული რისკების სპექტრი უნდა მოიცავდეს თვითდაზიანებას, სხვა პატიმრებისთვის, პერსონალისთვის, მნახველებისთვის თუ საზოგადოებისთვის ზიანის მიყენებას და გაქცევის, ან დაწესებულების დროებით დატოვებისას ან გათავისუფლებისას სხვა მძიმე დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობას;[53]
- საჭიროებების შეფასება მიზნად უნდა ისახავდეს პიროვნული მოთხოვნილებებისა და მახასიათებლების იდენტიფიცირებას დაკავშირებულს დანაშაულთან და საშიშ ქცევასთან („კრიმინოგენური მოთხოვნები“). მაქსიმალურად მიზანმიმართულად უნდა შემცირდეს პატიმართა მხრიდან დანაშაულები და საშიში ქცევა პატიმრობის დროს და გათავისუფლების შემდეგ;[54]
- ვინაიდან არც საშიშროება და არც კრიმინოგენური მოთხოვნები არ არის არსებითად სტაბილური მახასიათებლები, რისკის და საჭიროებების შეფასება პერიოდულად უნდა განმეორდეს სათანადოდ მომზადებული პერსონალის მიერ, სასჯელის დაგეგმვის ან საჭიროების შემთხვევაში;[55]
- რისკებისა და საჭიროებების შეფასება ყოველთვის უნდა იყოს დაკავშირებული მათ მართვასთან. შესაბამისად, ეს შეფასებები უნდა ასახავდეს ინფორმაციას შესაბამისი ინტერვენციის ან მოდიფიკაციის არჩევანის შესახებ და შესრულების მდგომარეობის თაობაზე;[56]
- ციხეში კონტროლის დაცვა უნდა ეფუძნებოდეს დინამიკური უსაფრთხოების გამოყენებას, პერსონალის მიერ პატიმრებთან პოზიტიური ურთიერთობის განვითარებას, რომელიც ეფუძნება მუდმივობასა და სამართლიანობას, კომბინაციაში მათი პერსონალური მდგომარეობისა და ცალკეული პატიმრების მხრიდან ნებისმიერი რისკის გადმოცემის გაგებას;[57]
- ციხის რეჟიმები უნდა იყოს ორგანიზებული ისე, რომ უზრუნველყოს მოქნილი რეაქცია ცვალებად დაცვისა და უსაფრთხოების მოთხოვნებზე. ცალკეულ ციხეებში ან ციხის ნაწილში პატიმრის განაწილება უნდა ეფუძნებოდეს რისკებსა და საჭიროებებს ყოვლისმომცველ შეფასებას და პატიმართა მოთავსების მნიშვნელობას ისეთ გარემოში, რომელიც, მათი საჭიროებების გათვალისწინებით, სავარაუდოდ შეამცირებს ნებისმიერ საფრთხეს. განსაკუთრებული რისკები და გარემოებები, მათ შორის თავად პატიმრების თხოვნა, შეიძლება საჭიროებდეს ცალკეულ პატიმართა სეგრეგაციას. ძალისხმევა უნდა იყოს გაწეული სეგრეგაციის თავიდან ასაცილებლად ან, თუ ის მაინც უნდა იქნას გამოყენებული, სეგრეგაციის გამოყენების პერიოდის შესამცირებლად.[58]

---

[51] იქვე, პუნქტ. 1.
[52] იქვე, პუნქტ. 6.
[53] იქვე, პუნქტ. 12.
[54] იქვე, პუნქტ. 13.
[55] იქვე, პუნქტ. 16.
[56] იქვე, პუნქტ. 17.
[57] იქვე, პუნქტ. 18.ა.
[58] იქვე, პუნქტ. 19.

- მაქსიმალური უსაფრთხოების ერთეულები უნდა იქნას გამოყენებული მხოლოდ, როგორც უკანასკნელი საშუალება და რეგულარულად გადაიხედოს. უსაფრთხოების მაქსიმალური დანაყოფების ფარგლებში რეჟიმებმა უნდა განასხვავონ პატიმრების მიმართ მოპყრობა, რომლებიც შექმნიან გაქცევის ან საფრთხის განსაკუთრებულ რისკს, თუ წარმატებას მიაღწევენ, და მათთან რისკებთან გამკლავება სხვა პატიმართა და/ან ციხეში მომუშავე ან მონახულებული პირებისთვის. პატიმართა ქცევისა და უსაფრთხოების მოთხოვნების გათვალისწინებით, რეჟიმები მაქსიმალური უსაფრთხოების დანაყოფებში მიზნად უნდა ისახავდეს მშვიდი ატმოსფეროს შექმნას, დაუშვას პატიმრებს შორის ურთიერთობა, შებაბამისი დანაყოფის შიგნით გადაადგილების თავისუფლება და სთავაზობდეს პატიმრებს მთელ რიგ აქტივობებს.[59]

**საშიში მსჯავრდებულების შესახებ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეზოლუცია**[60] განმარტავს, რომ რეკომენდაციის მიზნებისათვის საშიში დამნაშავე არის პირი, რომელიც ნასამართლევია განსაკუთრებით მძიმე სექსუალური ხასიათის ან განსაკუთებით მძიმე სერიოზული ძალადობრივი დანაშაულისთვის და რომლებიც წარმოადგენენ იმავე დანაშაულის ხელახალი ჩადენის მაღალ ალბათობას;[61] აცხადებს, რომ მკაფიოდ უნდა განსხვავდებოდეს მსჯავრდებულის რისკები, რომლებიც მისგან საზოგადოებას ემუქრება და რისკები, რომლებიც ციხის შიგნით არსებობს. ეს ორი რისკი ცალ-ცალკე უნდა შეფასდეს;[62] რისკის შეფასებები უნდა განხორციელდეს მტკიცებულებებზე დაფუძნებული, თანმიმდევრული წესით, შესაბამისად შემოწმებული საშუალებებით და პროფესიული გადაწყვეტილებების მიღებით. რისკის შეფასების განმახორციელებელმა პირებმა უნდა იცოდნენ და განაცხადონ ძალადობის რისკის შეფასების საზღვრები და სამომავლო ქცევის პროგნოზირება, განსაკუთრებით გრძელვადიან პერსპექტივაში;[63] ასეთი რისკის შეფასების ინსტრუმენტები გამოყენებული უნდა იქნას ზომის ან სანქციის ყველაზე კონსტრუქციული და ნაკლებად შემზღუდავი ინტერპრეტაციის განსავითარებლად, ასევე სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვისთვის. ისინი არ შეუქმნიათ სასჯელის განსაზღვრისთვის, თუმცა მათმა მიგნებებმა შეიძლება მიუთითოს ინტერვენციის საჭიროებაზე;[64] სასჯელის აღსრულებისას განხორციელებული შეფასებები უნდა იყოს პროგრესული და ხდებოდეს მათი სისტემატური გადახედვა დამნაშავის რისკის დინამიური განმეორებითი შეფასებების მისაღწევად;[65] შეფასებებისას მსჯავრდებულებს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ გაითვალისწინონ სპეციფიკურ რისკებთან დაკავშირებული საჭიროებები და შეცვალონ მათი დამოკიდებულები და ქცევა. ისინი ჩართულნი უნდა იყვნენ შეფასების პროცესში და ჰქონდეთ ინფორმაცია პროცესის მიმდინარეობის შესახებ და წვდომა საბოლოო დასკვნაზე.[66]

---

[59] იქვე, პუნქტ. 20 „ა-ც“.

[60] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2014 წლის 19 თებერვლის რეკომენდაცია CM/Rec(2014)3 წევრი სახელმწიფოების მიმართ „საშიში მსჯავრდებულების შესახებ“ < https://pjp-eu.coe.int/documents/41781569/42171329/CMRec+%282014%29+3+concerning+dangerous+offenders.pdf/cec8c7c4-9d72-41a7-acf2-ee64d0c960cb >_ბოლოს ნანახია: 10.04.2023 წ.

[61] იქვე, პუნქტ. 1 „ა“.

[62] იქვე, პუნქტ. 33.

[63] იქვე, პუნქტ. 28.

[64] იქვე, პუნქტ. 29.

[65] იქვე, პუნქტ. 30.

[66] იქვე, პუნქტ. 31-32.

*ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო*

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პოზიციით, ციხის სპეციალური რეჟიმები თავისთავად არ ეწინააღმდეგება კონვენციის მე-3 მუხლს, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ პირის პატიმრობა შეესაბამებოდეს მის ადამიანურ ღირსებას, პატიმრობის აღსრულების წესი და მეთოდი არ აყენებდეს მას ტანჯვას, რომელიც აღემატება პატიმრობისას თანდაყოლილი ტანჯვის გარდაუვალ დონეს; ასევე, პატიმრობის პრაქტიკული მოთხოვნების გათვალისწინებით, მისი ჯანმრთელობა და კეთილდღეობა სათანადოდ უნდა იყოს უზრუნველყოფილი.[67] ინდივიდის დაქვემდებარებამ დამატებითი შეზღუდვების კომპლექტით, რომლებიც დაწესებულია ციხის ადმინისტრაციის მიერ მათი შეხედულებისამებრ, ინდივიდუალური აუცილებლობის შეფასების საფუძველზე საკმარისი და შესაბამისი მიზეზების წარმოდგენის გარეშე, შესაძლებელია გამოიწვიოს ადამიანის ღირსების შელახვა და შესაბამისად, მე-3 მუხლში გათვალისწინებული უფლების დარღვევა.[68]

საზოგადოებრივი წესრიგის გათვალისწინებამ შეიძლება აიძულოს სახელმწიფო დააწესოს ციხის მკაცრი რეჟიმები პატიმართა კონკრეტული კატეგორიისთვის. კონვენციის მონაწილე ბევრ სახელმწიფოში უფრო მკაცრი უსაფრთხოების წესები ვრცელდება საშიშ პატიმრებზე. ეს ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავს გაქცევის, თავდასხმის ან არეულობის საფრთხის თავიდან აცილებას, ეფუძნება ასეთი პატიმრების გამოყოფას ციხის საზოგადოებისგან, მკაცრ კონტროლთან ერთად.[69]

შეფასებისას სასამართლო მხედველობაში იღებს ამ პირობების კუმულაციურ შედეგებს, განმცხადებლის კონკრეტულ ბრალდებებს; ასევე, ითვალისწინებს ღონისძიების სიმკაცრეს, ხანგრძლივობას, მის მიზანს და შედეგებს დაინტერესებული პირებისთვის.[70] ამასთან დაკავშირებით, განსახილველი პერიოდის ხანგრძლივობა მოითხოვს გულდასმით გამოკვლევას მისი დასაბუთების, მიღებული ზომების აუცილებლობისა და მათი პროპორციულობის შესახებ სხვა შესაძლო შეზღუდვებთან, განმცხადებლისთვის შეთავაზებულ გარანტიებთან, რათა თავიდან იქნეს აცილებული თვითნებობა და მიღებული იქნეს ზომები ხელისუფლების მიერ, რათა დარწმუნდნენ, რომ განმცხადებლის ფიზიკური და ფსიქოლოგიური მდგომარეობა მას საშუალებას აძლევდა დარჩენილიყო იზოლაციაში.[71]

სასამართლომ ციხის სპეციალურ რეჟიმებთან დაკავშირებულ, პოლონეთის წინააღმდეგ განხილულ რამდენიმე საქმეში ფაქტების მთლიანობაში შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ „საშიში მსჯავრდებულის" რეჟიმის კუმულაციური ეფექტის გათვალისწინებით, მიღებული ზომების ხანგრძლივობა და სიმძიმე აღემატებოდა ციხის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ლეგიტიმურ მოთხოვნებს.[72] სასამართლო დაეთანხმა CPT-ის

---

[67] Piechowicz v. Poland განაცხადი N20071/07, 17.04.2012 წ. პარ. 162; Horych v. Poland განაცხადი N13621/08) 17.04.2012 წ. პარ. 89; Öcalan v. Turkey (no. 2) განაცხადები N24069/03, 197/04, 6201/06 და 10464/07 18.03.2014 წ. პარ. 102.

[68] Provenzano v. Italy განაცხადი N55080/13 25.10.2018 წ. პარ. 152.

[69] Piechowicz v. Poland განაცხადი N20071/07, 17.04.2012 წ. პარ. 161; Horych v. Poland განაცხადი N13621/08) 17.04.2012 წ. პარ. 88.

[70] Piechowicz v. Poland განაცხადი N20071/07, 17.04.2012 წ. პარ. 163; Horych v. Poland განაცხადი N13621/08) 17.04.2012 წ. პარ. 90; Harakchiev and Tolumov v. Bulgaria განაცხადები N 15018/11 and 61199/12 08.07.2014 წ. პარ. 202; Öcalan v. Turkey (no. 2) განაცხადები N24069/03, 197/04, 6201/06 and 10464/07) 18.03.2014 წ. პარ. 103.

[71] X v. TURKEY განაცხადი N24626/09 09.10.2012 წ. პარ. 40.

[72] Piechowicz v. Poland განაცხადი N20071/07, 17.04.2012 წ. პარ. 178; Horych v. Poland განაცხადი N13621/08) 17.04.2012 წ. პარ. 103; Paluch v. Poland განაცხადი N 57292/12 16.02.2016 პარ. 47-48; Karwowski v. Poland განცხადი N29869/13 19.04.2016 წ. პარ. 43.

ანგარიშებში მითითებულ დასკვნებს, რომ არა მხოლოდ თავად რეჟიმი იყო ძალიან შემზღუდველი, არამედ სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფდა სპეციალური რეჟიმის საკნებში პატიმრებს შესაბამისი სტიმულაციის ადეკვატური ადამიანური კონტაქტებით; არ შეიმუშავა კონსტრუქციული და სასურველი საქმიანობის სტრუქტურული საკანონმდებლო პროგრამა. ასევე, ხსენებულ განყოფილებაში მოთავსება არ უნდა იყოს პასიური პასუხი პატიმრის დამოკიდებულებასა და ქცევაზე.[73]

სასამართლომ აღნიშნა, რომ სამარტოო პატიმრობის ყველა ფორმას შესაბამისი გონებრივი და ფიზიკური აქტივობების სტიმულირების გარეშე, სავარაუდოდ, გრძელვადიან პერსპექტივაში შეიძლება ჰქონდეს მავნე ზემოქმედება, რაც გამოიწვევს გონებრივი და სოციალური შესაძლებლობების გაუარესებას.[74] ხელისუფლებამ განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა იმოქმედოს ამ ღონისძიების დაწესებისას და გულდასმით გამოიკვლიოს ყველა ის კონკრეტული გარემოება, რომელიც მიუთითებს მისი გაგრძელების სასარგებლოდ ან წინააღმდეგ. ამის საპირისპიროდ, ხელისუფლების გადაწყვეტილებიდან ირკვევა, რომ, გარდა თავდაპირველი საფუძვლებისა, რომელიც ძირითადად ეფუძნებოდა ბრალდებების სერიოზულ ხასიათს, მათ შორის, ორგანიზებულ დანაშაულებრივ სტრუქტურაში მაღალი წოდების, შეიარაღებული დაჯგუფების ხელმძღვანელობის ეჭვს, სხვებზე დომინირების ტენდენციას, არ იქნა განხილული „საშიში მსჯავრდებულის" კლასიფიკაციის სხვა მიზეზები და დროთა განმავლობაში, „საშიში დაკავებულის" სტატუსის განხილვის პროცედურა გახდა ფორმალობა, რომელიც შემოიფარგლებოდა ერთი და იგივე საფუძვლების გამეორებით გადაწყვეტილებებში.[75]

თურქეთის წინააღმდეგ განხილულ ერთ-ერთ საქმეზე, პატიმარს ემუქრებოდა ფიზიკური შეურაცხყოფის საფრთხე, თუ ის დარჩებოდა სტანდარტულ საერთო საკანში. განმცხადებელი თავად უჩიოდა დაშინებას და ბულინგს. სასამართლოს პოზიციით, პატიმრის დასაცავად უსაფრთხოების გარკვეული ზომების მიღების აუცილებლობის შემთხვევაშიც, ეს გარემოება არ არის საკმარისი განმცხადებლის სრული იზოლირების გასამართლებლად. მთავრობამ ვერ შეძლო აეხსნა, თუ რატომ არ მიეცა განმცხადებელს ღია ცის ქვეშ ვარჯიშის და, მისი მრავალი მოთხოვნის მიუხედავად, სხვა პატიმრებთან შეზღუდული კონტაქტის შესაძლებელობაც კი.[76] სასამართლო არ დაეთანხმა მთავრობას, რომ მომჩივანი იზოლირებული იყო მისივე მოთხოვნით. განმცხადებლის მოთხოვნა იყო შესაბამის საკანში გადაყვანა.[77] თუმცა, განმცხადებელი, რომელსაც ბრალი ედებოდა არაძალადობრივი დანაშაულების ჩადენაში, მოათავსეს სამარტოო საკანში, სადაც ის მოკლებული იყო სხვა პატიმრებთან კონტაქტის და სოციალური აქტივობის შესაძლებლობას, არ ჰქონდა წვდომა ვარჯიშებზე და მხოლოდ იშვიათად უშვებდნენ საკნიდან.[78] სასამართლოს აზრით, ციხის ხელმძღვანელობამ არ ჩაატარა ადეკვატური შეფასება განმცხადებლის უსაფრთხოებისთვის შექმნილი რისკის შესახებ.[79] პატიმრის მცდელობები აღნიშნული ღონისძიება განეხილა სასჯელის გამოტანის შემდეგ სასამართლოს, კონკრეტული შედეგის გარეშე დასრულდა, რადგან მოსამართლემ

---

[73] Piechowicz v. Poland განაცხადი N20071/07, 17.04.2012 წ. პარ. 172-173; Horych v. Poland განაცხადი N13621/08) 17.04.2012 წ. 97-98.

[74] Piechowicz v. Poland განაცხადი N20071/07, 17.04.2012 წ. პარ. 173; Horych v. Poland განაცხადი N13621/08) 17.04.2012 წ. პარ. 98.

[75] Piechowicz v. Poland განაცხადი N20071/07, 17.04.2012 წ. პარ. 177; Horych v. Poland განაცხადი N13621/08) 17.04.2012 წ. პარ. 102; Paluch v. Poland განაცხადი N 57292/12 16.02.2016 პარ. 46.

[76] X v. Turkey განაცხადი N24626/09 09.10.2012 წ. პარ. 42 და 51.

[77] იქვე, პარ. 52.

[78] იქვე, პარ. 53.

[79] იქვე, პარ. 56.

უბრალოდ აღნიშნა, რომ ციხის ხელმძღვანელობას ჰქონდა დისკრეციული უფლებამოსილება მოცემულ საკითხებში, არც გამოუკვლევია მომჩივნის ინდივიდუალურ საკანში მოთავსების ღონისძიების შესაბამისობა საჩივრის ფაქტობრივ ვითარებასთან და სამართლო პატიმრობის შემსუბუქების თაობაზე მისი მოთხოვნების გადაწყვეტის გარეშე. ევროპული სასამართლოს პოზიციით, ეჭვგარეშეა, რომ ეს იყო განსაკუთრებით სერიოზული ღონისძიება, რადგან, გარდა ფსიქოლოგიური ფაქტორისა, სამართლო პატიმრობა, აწესებდა არსებით მატერიალურ შეზღუდვას მომჩივნის უფლებებზე.[80] შესაბამისად, განმცხადებლის სამართლო საკანში ყოფნის პირობები იწვევდა ფსიქიკურ და ფიზიკური ტანჯვას.[81]

### *CPT-ის ანგარიშები*

საქართველოს პენიტენციურ დაწესებულებებში 2018 წლის ვიზიტის შემდგომ **CPT-ის** ანგარიშში[82] აღინიშნა, რომ დახურული ტიპის დაწესებულებებში, მათ შორის, N[redacted] დაწესებულებაში, პატიმრები საკნებში იყვნენ ჩაკეტილი მთელი დღის განმავლობაში და მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას გადაედა ნაბიჯები მსჯავრდებულთა პროგრამების განვითარებისთვის, რომლის მიზანი უნდა იყოს პატიმრებისთვის შესაძლებლობის უზრუნველყოფა, რომ დღის გონივრული ნაწილი გაატარონ საკნის გარეთ, ეწეოდნენ მრავალფეროვანი ხასიათის საქმიანობას (სამუშაო, განათლება, სპორტი და ა.შ.), რაც მორგებული იქნება თითოეული კატეგორიის პატიმართა საჭიროებებზე.[83] პატიმრებისთვის რისკის შეფასების და სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის შემოღება დადებით საკანონმდებლო სიახლედ შეფასდა, თუმცა პრაქტიკაში პრობლემები დაფიქსირდა.[84] შესაბამისად, კომიტეტმა რეკომენდაცია გაუწია მთავრობას, რისკის შეფასების და სასჯელის ინდივიდუალური გეგმების შესახებ ახალი დებულებები დაენერგა ყველა ციხეში და ყველა პატიმრის მიმართ. რაც შეეხება პატიმართა კლასიფიკაციას, როგორც „მაღალი რისკის", გადაუდებელი აუცილებლობაა მთლიანად გადაიხედოს მიდგომა მათ მიმართ.[85]

კომიტეტმა ხაზი გაუსვა ციხის ადმინისტრაციის ვალდებულებას დაიცვას პატიმრები სხვა პატიმრებისგან, რომლებსაც შეუძლიათ მათთვის ზიანის მიყენება; იმოქმედოს პროაქტიულად პატიმრების მხრიდან ძალადობის პრევენციისთვის; არსებობდეს პატიმრებს შორის დაშინების/ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანი სტრატეგია და ციხის თანამშრომლებს ეძლეოდეთ შესაძლებლობა, განახორციელონ თავიანთი უფლებამოსილება სათანადო წესით. პატიმრებს შორის ძალადობით გამოწვეული პრობლემების მართვა მოითხოვს პატიმართა ინდივიდუალური რისკისა და საჭიროებების შეფასების ეფექტიან განხორციელებას.[86] საგულისხმოა, რომ CPT-ის ხსნებულ ანგარიშში მითითებულია N[redacted] პენიტენციურ დაწესებულებაში არაფორმალური იერარქიის პატიმრების გავლენასა და სხვა პატიმრების ძალადობის რისკის ქვეშ ყოფნაზე.[87] ასევე,

---

[80] იქვე, პარ. 43.
[81] იქვე, პარ. 45.
[82] იხ. < https://rm.coe.int/1680945eca > ბოლოს ნანახია: 24.04.2023 წ. ანგარიში გამოქვეყნდა 2019 წლის 10 მაისს.
[83] იქვე, პარ. 48
[84] იქვე, პარ. 73.
[85] იქვე, პარ. 74.
[86] იქვე, პარ. 52.
[87] იქვე, პარ. 51 და 53.

ციხეებში არაფორმალური მმართველობის პრობლემაზე მითითებულია საქართველოში 2021 წლის ვიზიტის შემდეგ გამოქვეყნებულ CPT-ის ანგარიშშიც.[88]

ბოლო წლებში სახალხო დამცველის აპარატი მიუთითებს პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული არაფორმალური მმართველობის თაობაზე, რაც არასათანადო მოპყრობის სერიოზულ საფრთხეს წარმოშობს და ხშირად განაპირობებს პატიმრებს შორის ძალადობასა და ჩაგვრას.[89]

## მოცემული საქმის ანალიზი

[redacted] ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით (თაღლითობა დიდი ოდენობით) და 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით (ყალბი ოფიციალური დოკუმენტის შენახვა გამოყენების მიზნით, არაერთგზის) და განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 წლის ვადით, რომლის მოხდა დაეწყო [redacted].[90] ამნისტიის გამოყენებით, სასჯელი შეუმცირდა 75 დღით.[91]

ამდენად, [redacted] მსჯავრდებულია არაძალადობრივი, მძიმე კატეგორიის, ეკონომიკური და მმართველობის წესის წინაღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის.

მსჯავრდებულ [redacted] დაუდგინდა საშიშროების საშუალო რისკი, რაც, მის ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსების უზრუნველყოფას მოითხოვდა. [redacted] N[redacted] პენიტენციურ (ნახევრად ღია ტიპი) დაწესებულებაში ყოფნისას მის მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტზე გამოძიება უშედეგოდ მიმდინარეობს[92], ხოლო მსჯავრდებულის მიერ მითითებულ კრიმინალური ავტორიტეტის მქონე პატიმრების და ადმინისტრაციის მიერ ე. წ. არაფორმალური მმართველობის და მისი უფლებების

---

[88] იხ. <https://rm.coe.int/1680a6eabd > [ბოლოს ნანახია: 22.06.2023 წ.] ad-hoc ვიზიტი საქართველოს ნახევრად ღია ტიპის პენიტენციურ დაწესებულებებში განხორციელდა 2021 წელს, ანგარიში გამოქვეყნდა 16.06.2022 წ.

[89] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, პრევენციის ეროვნული მექანიზმი „N2, N8, N14 და N15 პენიტენციური დაწესებულებების მონიტორინგის ვიზიტის შემდგომი ანგარიში" 2019 წ. < http://ombudsman.ge/res/docs/2019121618092132463.pdf > ბოლოს ნანახია: 25.04.2023 წ. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშები: „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2019 წელი", გვ. 57, 64-65 < http://ombudsman.ge/res/docs/2020040215365449134.pdf > ბოლოს ნანახია: 25.04.2023 წ. „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2020 წელი" გვ. 49-54 < http://ombudsman.ge/res/docs/2021040110573948397.pdf > ბოლოს ნანახია: 25.04.2023 წ. „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2021 წელი" გვ. 39 < http://ombudsman.ge/res/docs/2022040413242699860.pdf > ბოლოს ნანახია: 25.04.2023 წ. საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2022 წელი" გვ. 50-52 < https://www.ombudsman.ge/res/docs/2023033120380187763.pdf > ბოლოს ნანახია: 25.04.2023 წ.

[90] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 18 ოქტომბრის განაჩენი.

[91] 2022 წლის 14 აპრილის „ამნისტიის შესახებ" საქართველოს კანონი.

[92] საქართველოს გენერალური პროკურატურის [redacted] N[redacted] და [redacted] N[redacted] წერილების და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს [redacted] N[redacted] წერილის მიხდვით, მსჯავრდებულ [redacted] ჯგუფურად ცემის ფაქტზე დაიწო გამოძიება,

სავარაუდო დარღვევის საკითხებზე[93] სამსახურებრივი შემოწმება არასრულყოფილად ჩატარდა.[94] [redacted] წელს მსჯავრდებულმა სასამართლო წესით მოიპოვა ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებაში გადაყვანის უფლება. საგულისხმოა პატიმრის მიერ მითითებულ საკითხზე - სასამართლოში პენიტენციური სამსახურის იურისტის მხრიდან განხორციელებული უკანონო ქმედების ფაქტზე არასრულყოფილი სამსახურებრივი შემოწმების ჩატარებაც.[95] [redacted] წლის [redacted] N[redacted] ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებაში გადაყვანის შემდეგ, [redacted] დღეს [redacted] მიმართ კვლავ განხორციელდა ფიზიკური ძალადობა, რისთვისაც რამდენიმე პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო[96], თუმცა პატიმარი კვლავ N[redacted] დახურული ტიპის დაწესებულებაში დააბრუნეს, სადაც დღემდე იმყოფება.

[redacted] წელს, მსჯავრდებულ [redacted] სარჩელის დაკმაყოფილების შედეგად, სასამართლოს გადაწყვეტილებით, სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს დაევალა მსჯავრდებულ [redacted] მიმართ საშიშრების რისკის გადაფასების პროცედურის წარმართვა. [redacted] წელს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებით, სპეციალური პენიტენციური სამსახურის საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა მიჩნეული.[97]

[redacted], რისკების გადაფასების შედეგად, მსჯავრდებულს დაუდგინდა მომეტებული რისკის სახე. პენიტენციური სამსახურის ინფორმაციით, სასჯელის მოხდის პერიოდში, მსჯავრდებულ [redacted] მხრიდან ადგილი არ ჰქონია სამართალდარღვევის ან დისციპლინური დარღვევის ჩადენას, წახალისებულია 3-ჯერ, მისი პიროვნების დამახასიათებელი რისკ ფაქტორები არ იკვეთება. მსჯავრდებული არ არის კრიმინალური სუბკულტურის მატარებელი. პატივისცემას იჩენს დაწესებულების ადმინისტრაციის თანამშრომლების მიმართ. არის მოტივირებული ცვლილებებისკენ. გააზრებული და გაცნობიერებული აქვს ჩადენილი დანაშაული და მისი უარყოფითი ხასიათი. არის მშვიდი, გაწონასწორებული და თავაზიანი.

მსჯავრდებულთა საშიშროების რისკების შეფასების გუნდის [redacted] ოქმში აღნიშნულია, რომ მსჯავრდებულს არ აქვს სწავლის, მუშაობის, სარეაბილიტაციო და სოციალურ

---

[93] საქართველოს გენერალური პროკურატურის [redacted] N[redacted] წერილის მიხედვით, მსჯავრდებულის განცხადებაში მითითებული სხვა პრეტენზიების შესახებ, რომელიც შეეხება პენიტენციური დაწესებულებების ცალკეული თანამშრომელთა გადაცდომებს და ე.წ „მაყურებლებთან" დაკავშირებულ საკითხებს, ინფორმირებული იყო სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტი, სადაც მიმდინარეობდა სამსახურებრივი შემოწმება.

[94] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2020 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 39-40 იხ. < https://www.ombudsman.ge/res/docs/2021040113411364936.pdf > ბოლოს ნანახია: 22.06.2023 წ.

[95] საქართველოს სახალხო დამცველის [redacted] წლის [redacted] N [redacted] წინადადება, [redacted]

[96] საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის [redacted] N[redacted], [redacted] წლის [redacted] N[redacted] და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის [redacted] წლის [redacted] N[redacted] წერილების მიხედვით, [redacted] მსჯავრდებულს წარედგინა ბრალდება [redacted] ჯგუფურად ცემის ფაქტზე, ხოლო [redacted] მსჯავრდებულს - ცრუ ჩვენების მიცემისათვის. ცალკე წარმოებად გამოიყო [redacted] საქმე და არსებითად განსახილველად წარიმართა სასამართლოში.

[97] საქართველოს უზენაესი სასამართლოს [redacted] წლის [redacted] განჩინება (საქმე [redacted].

პროგრამებში მონაწილეობის სურვილი და პროგრამებში მონაწილეობის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება აქვს. აღნიშნულისგან რადიკალურად განსხვავებული ინფორმაცია ფიქსირდება იმავე უწყების - სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს პირველი ადგილობრივი საბჭოს [redacted] გადაწყვეტილებასა და [redacted] ოქმში, კერძოდ, მსჯავრდებულს აქტივობებში მონაწილეობა არ მიუღია, თუმცა მსჯავრდებული გამოთქვამს სურვილს მიიღოს მონაწილეობა, რაც დაფიქსირებული აქვს წერილობითაც; მსჯავრდებული არის მოტივირებული და ინტენსიურად ეცნობა დაწესებულების ბიბლიოთეკაში არსებულ ლიტერატურას.

ამდენად, დასტურდება, რომ მსჯავრდებულ [redacted] სოციალურ პროგრამებში მონაწილეობის სურვილი აქვს. თუმცა საგულისხმოა, რომ საქართველოს სახალხო დამცველი წლების განმავლობაში მიუთითებს დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში, მათ შორის, N[redacted] დაწესებულებაში, მსჯავრდებულთა სარეაბილიტაციო აქტივობების თვალსაზრისით არსებულ პრობლემაზე, კერძოდ, რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის კუთხით გატარებულ ღონისძიებებს ფრაგმენტული ხასიათი აქვს და არ არის მორგებული მსჯავრდებულთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე; ასევე, დღის მანძილზე, პატიმრებისთვის სუფთა ჰაერზე სასეირნოდ განსაზღვრულია მხოლოდ 1 საათი.[98]

ამდენად, დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის N[redacted] დაწესებულებაში, სადაც მსჯავრდებული განთავსებულია დღემდე, პრობლემას წარმოადგენს სარეაბილიტაციო ღონისძიებების განხორციელება. სოციალურ აქტივობებში მსჯავრდებულის მონაწილეობის სურვილი ცალსახად იკვეთება მის სარჩელებსა და განცხადებებში. სწორედ ამ მიზნით ითხოვდა/ითხოვს მსჯავრდებული რისკების გადაფასების პროცედურის წარმართვას სასამართლო წესით, რომ დაბალი რისკის დაწესებულებაში[99] გადაყვანის

---

[98] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში პრევენციის ეროვნული მექანიზმი N2, N8, N14 და N15 პენიტენციური დაწესებულებების მონიტორინგის ვიზიტის შემდგომი ანგარიში, 2019 წელი, გვ. 35-38 <https://www.ombudsman.ge/res/docs/2019121618092132463.pdf> ბოლოს ნანახია: 25.04.2023 წ. საქართველოს სახალხო დამცველი, პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2019 წლის ანგარიში, გვ. 61-64 <https://www.ombudsman.ge/res/docs/2020033122424787329.pdf> ბოლოს ნანახია: 25.04.2023 წ. საქართველოს სახალხო დამცველი, პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2020 წლის ანგარიში, გვ. 78-81 < https://www.ombudsman.ge/res/docs/2021111112020776878.pdf > ბოლოს ნანახია: 25.04.2023 წ. საქართველოს სახალხო დამცველი, პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2021 წლის ანგარიში გვ. 80-85 < https://www.ombudsman.ge/res/docs/2022050612391096568.pdf > ბოლოს ნანახია: 25.04.2023 წ. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2022 წელი", გვ. 34 < https://www.ombudsman.ge/res/docs/2023033120380187763.pdf > ბოლოს ნანახია: 25.04.2023 წ.

[99] „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N16 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 15 ივლისის N71 ბრძანების დანართის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა", „ბ", „კ", „ს" და „ტ" ქვეპუნქტების მიხედვით, N16 პენიტენციური დაწესებულება არის დაბალი რისკისა და გათავისუფლებისათვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება, რომლის ფუნქციებია: სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის შედგენა და გეგმის შესაბამისად სასჯელის მოხდის ორგანიზება და გეგმის ფარგლებში მსჯავრდებულთათვის შრომის, განათლების ან/და სოციალურ აქტივობებში მონაწილეობის შესაძლებლობის შექმნა; მსჯავრდებულთა ინტერესების, პოზიტიური პოტენციალის გამოვლენა, შეფასება და ამაღლება; მსჯავრდებულთა გათავისუფლებისათვის და საზოგადოებაში რეინტეგრაციისათვის მომზადება; დაწესებულებაში კულტურული, რელიგიური, სპორტული და სხვა სოციალური აქტივობების ორგანიზება.

შესაძლებლობა ჰქონოდა, სადაც სარეაბილიტაციო და სოციალური აქტივობებისთვის მეტი სივრცეა.

მსჯავრდებულ [redacted], საშიშროების „საშუალო“ რისკი გადაფასების შედეგად დაუმძიმდა და განესაზღვრა „მომეტებული“ რისკი. გადაწყვეტილების მიხედვით, პატიმრის ნებისმიერი ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებაში გადაყვანის შემთხვევაში, არსებობს დიდი რისკი, რომ მის მიმართ სხვა პატიმრების მხრიდან ადგილი ჰქონდეს ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებას.

სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს პატიმრის ფიზიკური და ფსიქიკური უსაფრთხოება, მათ შორის, სხვა პატიმრებისგან, შესთავაზოს სარეაბილიტაციო-რესოციალიზაციის პროგრამები, განახორციელოს სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვა, რისკების ჯეროვანი შეფასება და უზრუნველყოს შესაბამის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მისი განთავსება.

როგორც აღინიშნა, მსჯავრდებულმა მოითხოვა რისკების გადაფასების პროცედურის ხელახლა წარმართვა, რაც სასამართლომ დააკმაყოფილა. იმ პირობებში, როდესაც პატიმრის ქცევა არ გაუარესებულა, მსჯავრდებულს დაუმძიმდა რისკი და აღნიშნულის მიზეზად მის მიმართ სხვა პატიმრების მხრიდან სავარაუდო ძალადობა დასახელდა. ეს ყოველივე კი იმ ფონზე, როდესაც სახელმწიფო ვალდებულია ერთი მხრივ პატიმარს მიანიჭოს ის რისკის სახე, რომელიც ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე შეესაბამება მსჯავრდებულს, მეორე მხრივ კი გაატაროს გონივრული ღონისძიებები იმისთვის, რომ მსჯავრდებული უსაფრთხოდ მოთავსდეს მისი რისკის შესაბამისი ტიპის დაწესებულებაში. ხოლო იმ შემთხვევაში თუ გატარებული ღონისძიებებით, კონკრეტული დროის მონაკვეთში, შეუძლებელი იქნება მსჯავრდებულის უსაფრთხოების დაცვა მაგალითად ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებაში, კანონმდებლობა აძლევს სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს მსჯავრდებულის დახურული ტიპის დაწესებულებაში მოთავსების შესაძლებლობას, ამგვარი საფრთხის აღმოფხვრამდე. თუმცა, ამ შემთხვევაში, ცალსახად უნდა აღინიშნოს, რომ მსჯავრდებულს უნარჩუნდება მისი შედარებით დაბალი რისკისთვის გათვალისწინებული უფლებები. ამრიგად, პატიმრის უსაფრთხოების მოტივით, მისთვის რისკის სახის დამძიმება და აქედან გამომდინარე - უფლებების შეზღუდვა, ვერ შეიძლება ჩაითვალოს საკანონმდებლო დებულებების შესაბამის გადაწყვეტილებად.

**დასკვნა**

თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ ზემოაღნიშნულ გარემოებებზე ჯეროვანი მსჯელობა და დასაბუთებული პოზიციის წარმოდგენა უშუალო გავლენას მოახდენს როგორც ინდივიდების უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფაზე, ასევე, სასამართლოს შემდგომი პრაქტიკის განვითარებაზე, ხელს შეუწყობს დასაბუთებული გადაწყვეტილების სტანდარტის დამკვიდრებას და დადებით გავლენას მოახდენს მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციაზე.

ვიმედოვნებ, წინამდებარე დოკუმენტში მოყვანილი სამართლებრივი არგუმენტაცია სასამართლოს განსახილველი საკითხების სათანადო შეფასებაში დაეხმარება. დამატებით, გაცნობებთ, რომ გამოვთქვამთ მზადყოფნას საქმის არსებით განხილვაზე ზეპირი განმარტების მისაცემად.

პატივისცემით,

ლევან იოსელიანი

სახალხო დამცველი

.